ოქტომბრელი

11–12

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრელი

ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი, № 11—12

ნოემბერი-დეკემბერი
1933
წელი

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროსა
და განათლების სახ. კომისარიატის ჟურნალი
მცირეწლოვან ბავშვთათვის.

შინაარსი

1. ზამთრის პირი,—ლექსი გ. კაჭახიძისა 1
2. ტყის თხილი,—იანისა 2
3. რეზოს პიონერად გადარიცხვა,—ლექსი გრ. ესებუასი 6
4. მშიერი დათვი,—ბ. ჩხეიძისა 7
5. საოცარი გაფრენა,—შ. თაბ-ლისა 12
6. დარიკოს თხოვნა,—ლექსი გიორგი კალანდაძისა 15
7. სტუმრები,—ცქვიტისა 16
8. შალვას რვეული,—ლექსი ლავ. ჭიჭინაძისა 21
9. ს. ბუდიონი,—ა. ს. 22
10. თედოს ნაამბობი,—ლ. გეგეჭკორისა 24
11. გველის ღღე,—გადმოკეთებული შ. თ-ლის მიერ 27
12. გასართობი,—შედგენილი ნ. ნაკაშიძის მიერ 30
13. კურდღელი და გომფეშო,—იგავ-არაკი გ. ლომთათიძისა . . . 32

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სად არიან, სად გაფრინდენ
ფრინველები, რომ არ ჩანან!
წვიმს. აცივდა.
ატალახდა
შუკები და სოფლის შარა.
და ეზოში დიდი მუხა
საცოდავად დგას და ტირის.
დიდმა ნაძვმაც მოიწყინა:
არის უკვე ზამთრის პირი.
წვიმს... თავები მოხუცივით
დაგვანახეს თეთრად მთებმა.
როგორც ვატყობ,
ჩვენს ოდაში
მალე ცეცხლი დაინთება.
მაშინ, ბიჭო, ბების გვერდით
შემოვუსხდეთ ძმები ბუხარს,
ვწეროთ, ვხატოთ, თან ერთმანეთს
ზღაპრები და ლექსი ვუთხრათ.
დროს და მოცლას არ დაგვაკლებს
ღამეების გრძელი რიგი.
ჩვენც ვიმარჯვოთ:
ვწეროთ, ვხატოთ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წავიკითხოთ ბევრი წიგნი.
მამამ დროზე მოიმზადა
შერჩეული რცხილის შეშა,
ვანთოთ ცეცხლი,
თუ ყინვები
სურდოსავით არ მოგვეშვა.
წვიმს. აცივდა... დიდი მუხა
საცოდავად დგას და ტირის.
დიდმა ნაძვმაც მოიწყინა:
არის უკვე ზამთრის პირი.

გიორგი კაჭახიძე

ცყის ოხილი

იმ საღამოს ჩვენს სოფელს პირველი თოვლი დაეცა.

ამ დროს საოცარი გარინდება იცოდა ჩვენმა სოფელმა. მოსახლეობა ბინებში იკეტებოდა, გარეთ სამუშაო აღარაფერი იყო. მოტეხილი სიმინდი სასიმინდეში ეყარა, ჩალა უკვე ზვინებად იდგა. ზამთრისათვის შეშა ეზოში ეწყო. საზამთრო სამზადისი დამთავრებული ჰქონდათ მეზობლებს, ვისაც როგორ შეეძლო. სხვენზე თხილი, უნაბი, მსხალი და ვაშლი ინახებოდა, და ჩვენოდენა ბავშვებისათვის ეს იყო ყველაფერი.

შებინდებისას დედა შუაცეცხლზე პატარა მჭადებს შეაფიცხებდა, დატეხდა, ლობიოს მოურევდა, გვავახშმებდა, ლოგინებში ჩაგვათბუნებდა და შემდეგ მეზობლის ქალებში გადავიდოდა სამასლაათოდ და დროის მოსაკლავად. ხან კიდევ ჩვენსას იყრიდენ თავს მეზობლის ქალები სასაუბროდ, მაგრამ ჩვენ მათი ბაასის მხოლოდ შესავალი გვესმოდა, მერმე ღრმა და ბავშვობის უშფოთველი ძილი გვაშორებდა მათგან.

ბაასის დროს მასპინძელი სხვენიდან ხილს ჩამოიტანდა სტუმრების მისართმევად. იმ წუთებში ჩვენ, რა თქმა უნდა, არცერთს არ გვეძინა და რომ ჩვენს სიფხიზლეში ეჭვი არავის შეჰპაროდა, ზოგი ჩუმ ღიღინს მოვყვებოდით ლოგინში, ზოგი ცხვირში ნაძალადევად ქსუტუნებდა და ზოგნიც ერთ ლოგინში თავ-ფეხშექცულნი უმიზეზოდ კინკლაობდენ (ბევრნი ვიყავით ბავშვები).

— ჰა, ვიცით, ვიცით, რომ არა გძინავთ; არც დამვიწყებიხართ. აჰა შენ უნაბი, შენც თხილი, შენ კიდევ პანტა, ისედაც პანტასა ჰგავხარ, — მოგვიანებ ნდებოდა უზომოდ მოყვარული დედა, და ლოგინებში გაჩნდებოდა ფაცაფუცი.

რამდენიმე ქალი დროებით გაიცინებდა, და მერე გრძელდებოდა ჩვეულებრივი, ჩვენთვის მიუწვდომელი მასლაათი.

მეორე საღამოს რომელიმე მეზობლისას იყრიდენ თავს, და ასე გრძელდებოდა მთელი ზამთარი.

იმ საღამოს, ჩვენს სოფელს რომ პირველი თოვლი დაეცა, დედას არ მოვეშვი, არ დავიძინე, კაბის კალთას ჩავეჭიდე და, მიუხედავად მისი დიდი ხნის უარისა, მეზობლისას გავყევი, სადაც თავი მოეყარათ ჩვენი სოფლის დედაკაცებს.

— აბა, რა ბავშვების საქმეა, ახლა ლოგინში უნდა გეძინოს, დილით ადრე ასადგომი ხარ, სკოლაში ხომ არ დაიგვიანებ.

მე კი სული და გული მეზობლისას მქონდა: სხვენზე დიდძალი ხილი ეყარა და ამაღამ სტუმრებს აბა გაუმასპინძლებლად როგორ გაუშვებს მეთქი.

რაკი არ დავიშალე, დედამაც თან წამიყვანა.

ძუნწი რამ იყო მეზობელი ფოსინე. ზაფხულში ხილს ხეებზე შეალპობდა და ბავშვებს ზედაც არ შეგვახედებდა, ქარისაგან დაცვენილ ნაყოფსაც კი ოდის დერეფანში დაყრიდა, ვითომ გასახმობად, მაგრამ იმერული ხილი დაჟეჟილი აბა როგორ გახმება და შეინახება, როცა ხეზევე ფრთხილად შეკრეფილი მხოლოდ რამდენიმე კვირას თუ გაძლებს.

საზამთროდ შენახულ ხილსაც თაგვები გამოუხრავდენ ხოლმე სხვენზე, და ვერ წარმოიდგენთ ჩემს სიხარულს, როცა იგი შეწუხებული მეზობლებში ჩიოდა.

— გამანადგურეს ამ გასაწყვეტლებმა, გამანადგურეს, ვერარა კატამ ვერ მოსპო ჩემს ოჯახში ეს უბედურება, თაგვის შაქარი ხომ არ გექნებათ?

— არ მაქვს-თქო, უთხარი არ მაქვს-თქო, — ვეჩურჩულებოდი დედას, ან მე თვითონ დავასწრებდი და პასუხს მოვუჭრიდი:

— დედას ეშინია ბავშვებმა არ შევჭამოთ, რომ თაგვებივით არ დავიხოცოთ და არ გვაქვს...

„თაგვებს კი არა, ტურებსაც შეუჭამია ის შენი ხილეული“, — ვფიქრობდი გულში მხიარულად.

მაინც იმ საღამოს რაღაც იმედი მქონდა: პირველი საღამოა და ახლა მაინც მოართმევს ფოსინე სტუმრებს რაჰეს მეთქი.

შუაცეცხლი ლაღად და უდარდელად გუზგუზებდა. დიდი რცხილის კუნძი მხართეძოზე ალხეინად ეგდო და იწოდა, ტკაცატკუცით იფერფლებოდა მუგუზლები და საკვამლურში სვეტივით იყო გაყრილი შუაცეცხლის კვამლი.

ქალებს ცეცხლთან ახლო ჯდომით წვივები ასწითლებოდათ და ზედ არდიგარდმო ჯვარედინი ზოლები წითლად დაეხაზა ცეცხლის მხურვალებას.

დედას შემატება ესიამოვნათ. ჩემი კი არ ვიცი რამდენად. ჩვენს მისვლამდის გამართულ საუბარში ჩქარა ჩაერია დედაც, როგორც არაერთხელ გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცდილი, და გაჩაღდა მასლაათი. მე ამათი არაფერი მესმის, თვალი ფოსინესკენ მიჭირავს: ერთი, როდის ადგეს, ხილი მოიტანოს.

საუბარი კი გრძელდებოდა და გრძელდებოდა დაუსრულებლივ. საკაა ძილიც მომეკიდება, თუმცა თავს ვაჟკაცურად ვიკავებ. მაგრამ ვაი, რომ დედამ თვალებზე შემატყოს, მაშინვე წამოდგება, ქალებთან ბოდიშს მოიხდის:

— უკაცრავად, ბავშვს წავიყვან, დავაძინებ და ახლავე გეახლებითო.

მერე ამტკიცე, რომ არ მეძინება, ყველანი შენს წინააღმდეგ გაილაშქრებენ.

არა და ეს ფოსინეც აღარ ფიქრობს წამოდგომას: ხის, მაჩვენებელი თითი ბაგეზე მიუყრდნია და უშნოდ, ულაზათოდ და უგემურად აგრძელებს რალაც უყაირათო ამბავს.

აგერ-აგერ თვალები უარს მეტყვიან დამორჩილებაზე და დამეხუჭებიან.

როგორც იქნა, ფოსინემ წუთით დაგვტოვა და საკუჭნაოსკენ გაეშურა.

დავწყნარდი.

ცოტა ხნის შემდეგ შემოიტანა ჯამი და ცეცხლის პირს დადვა.

— მიირთვით, ცოტა მაგარია, მარა რა გაეწყობა, ზამთრის ხილია.

ჯამზე ტყის თხილი ეყარა.

ჩემთვის თვითონვე ამოიღო ჯამიდან ხუთიოდე და ხელში ჩამიყარა. მე ერთი მათგანი დაუყოვნებლივ კბილებში მოვიგდე და მოვიკრიფე ძალლონე.

ზღვის კენჭივით მაგარი თხილი ჩემს პატარა, მკირეძალიან კბილებს ადვილად გადაურჩა, და უკანვე გამოვაბრუნე.

დედას შევხედე დახმარების იმედით.

საბრალო დედაც მარჯვენა ხელისგულით ქვედა ყბას გაბედულად აწვებოდა და იბრძოდა ამ პატარა ნაყოფის მკვრივი ნაჭუჭის დასალეწად, მაგრამ ამაოდ: ტყის თხილი უცნაურად მაგარ ციხე-სიმაგრეში ზის, რომლის აღება არც თუ ისე ადვილია.

ჩვენს ბედში იყვნენ სხვებიც. ვერც ისინი აღმოჩნდენ ძლიერი, ქალის კბილებით შეიარაღებულნი, მათაც ჩვეულებრივი ადამიანის კბილები გააჩნდათ, და არა სხვაგვარი.

მალე ჯამი ისევ შეივსო უკანვე დაბრუნებული თხილით.

ქალებმა საუბარი გააგრძელეს უხერხული მდგომარეობიდან გამოსვლისათვის, ყბების ტკივილი ვითომცდა არ შეიმჩნიეს, ცეცხლს შეუკეთეს და შესწორდენ. მასპინძელიც, ვითომც აქ არაფერიაო, საუბარს სიამოვნებით შეუერთდა.

მე კი ბრაზი ყელში მეჭედებოდა, ვინთებოდი, მერე ძილი მოვიგონე, დედაც, თითქო ამას უცდიდაო, წამოდგა. ხელი ჩამჭიდა, დიდი შალის ნაწილი მომახვია და ქ ლებთან ბოდიში მოიხადა:

— უკაცრავად, ბავშვს ძილი მოეკიდა, შინ უნდა წავიყვანო,—დაბრუნების შესახებ კი სიტყვაც არ დაუძრავს.

მეორე საღამოს, როცა ქალებმა ჩვენსას იწყეს თავმოყრა, მე ქაღალდის ნაგლეჯზე დედის ხელის მსგავსად დავწერე:



„ჩემო ფოსინე, სტუმრები მეწვივნენ, შენი ჭირიმე, ამ საღამოს შენი ტყის თხილი მათხოვე და ხვალ დილით უკლებლივ უკან მოგართმევ.

შენი ელისაბედი“.

ეს წერილი მე თვითონ მივუტანე ფოსინეს,—დედამ გამომგზავნა მეთქი. მან სწრაფად გადიკითხა, სახე შეიკრა და გაცხარება შევატყე.—კარგიო, მე თვითონ მოვალ და მოვართმევ იმ ქალბატონსო.

იმ წუთსვე სახლისაკენ მოვქუსლე, ლოგინში შევწევი და, ყველას განსაცვიფრებლად, ხილის გამოტანამდის ხვრინვა ამოვუშვი.

ერთხანს მესმოდა შემოსული ფოსინეს გაცხარებული ლანძღვა-გინება, მერე ქალების გულიანი სიცილ-კისისი, რომელიც დიდხანს გრძელდებოდა.

მერე კი მართლაც ძილმა დამძლია...

იანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რეზოს პიონერად გადარიცხვა.

გუშინ მოწვეულ სხდომას
მეთაურობდა გივი,
როდესაც მორჩა შრომას
ბავშვების კოლექტივი.

იგი დგება და მტკიცედ
კვების საკითხებს მარტავს,
რომ კრება სმენად იქცეს,
იწყებს საუბარს სხარტად:

— ამხანაგებო, მისთვის,
რომ მივაღწიოთ შედეგს,
ჩვენ ბავშვთა კვება უკეთ
უნდა მოვაწყოთ შემდეგ".

მორიგ საკითხს სვამს იგი...
შლიან მსჯელობას მკვეთრად,
ყოველ საკითხის ირგვლივ
დარაზმულები ერთად.

— ბოლოს გავუსვამ ხაზს მე
ამ ჩვენ ოქტომბრელ რეზოს,
რადგანაც მისი საქმე
ინტერესს იწვევს ეგზომ!

ცხრა წლის პატარა ბალღი
ყველა საქმეში დიდობს,
არ აქვს შრომაში ნაკლი,
სამჯერ მიიღო ჯილდო.

არცერთ საკითხში თუნდაც
არ გაუტეხავს ფიცი,
გაკვეთილები ყუდამ
„ხუთი თითივით" იცის.

ყველამ შევიგნოთ მტკიცედ,
გვაქვს სამუშაო ბევრი...
მესამე წყებას მივსცეთ
ჯანსაღი ოქტომბრელი!

ჩვენ, პატარებიც, შრომას
კლასური მიზნით ვიგებთ...
გადასცა რეზო სხდომამ
პიონერების რიგებს.

გრ. ესმბუა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოცრი ღათვი.



გივიკოსა და ვაზიას დიდი ხანია მოსწყინდათ გაგრძელებული შემოდგომა. რა თქმა უნდა, სანამ ვაშლები და ვენახები მოსაკრეფი იყო, ერთ წუთსაც არ უნატრიათ მათ თოვლიანი ზამთარი, მაგრამ ნოემბერი გაილია, ხე-ტყეს ფოთოლი გასცვივდა, ხურმა დამწიფდა, სოფლად მარტო ყვანჩალა ყვავი და ძერა თუ გადაიფრენდა, ან ბელურების გუნდი თუ გადადიოდა ჟივილით საბძლიდან საბძლამდის ან ზვინიდან ზვინამდის.

— დროა თოვლი მოვიდეს, გივიკო!-უთხრა ვაზიამ გივის და განაგრძო:

—წელს მამას ას ოთხმოცი შრომა დღე ერგო, დედასაც ას ორმოცი. კოლექტივის გამგეობამ სიმინდი გაანაწილა და ჩაბარების გარდა ას ოცი ფუთი გვერგო. ბაბუამ თქვა, რომ ას ოცი ფუთი სიმინდი მას თავის ბელელში ჯერ არ უნახავს. აქედან ოცი ფუთი გამოვყავით და იმით ღორს ვასუქებთ.

— დიდი საქმე მომხდარა!—მიუგო გივიმ,—მამაშენს თუ ასოთხმოცი შრომადღე ერგო, მამაჩემს ორას ხუთი გამოუვიდა, დედასაც ას ოთხმოცდაათი. ყანებიც თქვენზე უკეთესი მოვლილი ჰქონდა ჩვენს კოლექტივს და ამიტომ ორასი ფუთი სიმინდი გვერგო. მამაჩემმაც გამოყო ორმოცი ფუთი სიმინდი ღორის გასასუქებლად. მაშასადამე, ჩვენი საკლავი ღორი თქვენზე ორჯერ მეტი იქნება,—დაასკვნა გივიმ.

— როდის ეპირებით ღორის დაკვლას?—იკითხა ვაზიამ.

— რა დღესაც თოვლს ჩამოყრის.

— მამასაც აგრე უნდა,—თქვა ვაზიამ, წიგნების ჩანთა შეისწორა და წამოიძახა:

—ნეტავ ჩქარა მოვიდეს თოვლი!

ამ დროს, სად იყო და სად არა, რამოდენიმე მანძილის დაცილებით, ვიღაც ახმახი გამოჩნდა. აბურდული თმა ბეჭებზე ეყარა, ჭუჭყიანი წვერი ბალიშივით მდის სწვდებოდა, გრძელი ანაფორის კალთები მიწაზე მიეთრეოდა და ანაფორის სახელოებს უშნოდ აფართხუნებდა.

ბავშვებმა მღვდელი იცნეს და ტყისაკენ გადაუხვიეს, ცოტა ხნით მორზე ჩამოსხდენ, იცინეს და შემდეგ ისევ გზას გაუდგენ მხიარულად.

გივი დაფიქრდა. ბოლოს, თითქოს ვაზია ყველაფრის მცოდნეაო, ჰკითხა:

— ვაზია, მითხარი, თუ ძმა ხარ, რით ცხოვრობს ეს ვეება კაცი? ის ხომ არც ხნავს, არც თესავს, არც შრომობს...

ვაზია შეჩერდა, დაფიქრდა, მაგრამ ვერაფერი უპასუხა. ბოლოს, სკოლას რომ მიუახლოვდენ, თითქოს დიდი რაღაც აღმოაჩინაო, მხიარულად განაცხადა:

— გივიკო! მასწავლებელს ვკითხოთ და გვეტყვის.

ბავშვები სკოლაში შევიდენ და მღვდელი ისე დაავიწყდათ, თითქო არც ენახათო.

ორი-სამი დღე არ გასულიყო მას შემდეგ, გივისა და ვაზიას რომ საუბარი ჰქონდათ. ნაშუადღევს შავი ზღვის ქვენა ამოვარდა. მიარხ-მოარხია ფოთოლგაცვენილი ტყე, აწუწკუნა როკები, და ნისლმა გადმოიარა. ღამით პატარა წვიმას ხოშკაკალა მოჰყვა, მეორე დღეს კი ნახევარი მეტრი თოვლი იყო.

გივიმ და ვაზიამ ახალი წინდები და ქალამნები გაიკრეს, ტანს თბილები ჩაიცვეს და ნანატრ თოვლში მხიარულად მიდიოდენ სკოლისაკენ.

ერთ დღეს სოფელში ხმა გავრცელდა, ტყეს დათვი შემოეჩვიაო. ეს ტყე სკოლასა და სოფელს შუა იწყებოდა ეკლესიის გალავანით და ქვევით მდინარის პირთან თავდებოდა.

ამ ამბავს რომ სამწუხარო არ დამატებოდა, კომკავშირელები, რა თქმა უნდა, ბევრს იცინებდენ და იმხიარულებდენ, მაგრამ ეს სამწუხარო ამბავი ის იყო, რომ საღამოთი სკოლიდან მომავალ ქეთოს დაენახა დათვი ბზითა და ჭყორით გადავლილ საყდრის ეზოში ტყის პირად და შიშით ენა ჩაჰვარდნოდა.

სოფლისათვის მოულოდნელ ამ ამბავზე კომკავშირის უჯრედის მდივანმა, წითელ ჯარში ნამყოფმა ვანომ, კრება მოიწვია. კრებაზე ვაზიას მოხუცი პაპაც მოიწვიეს.

მოხუცს ძალზე გაეხარდა, რომ დათვის საკითხზე მიიწვიეს ის კომკავშირელებმა. თავისი ძველისძველი ფილთა გაახსენდა, ბევრი ეძება ლულა და საღორის თავზე იპოვა, ჩახმახი თავისი დედაბრის ათასნაირ ჭინჭებ-აჭუჭნულ ზანდუკში აღმოაჩინა, კონდახი ბეღლის თავიდან ჩამოიღო, შეაკოწიწა ერთიმეორეზე და მავთულებით დაამაგრა ლულა კონდახზე.

კომკავშირის უჯრედისაკენ რომ გასწია, მხოლოდ მაშინ შენიშნა, რომ ფილთას ჩახმახთან კაჟი აკლდა და ისევ მობრუნდა. საბძლის დვირედან კევრი ჩამოიღო, მოაძრო ბრჭყვიალა თეთრი კაჟი და ჩახმახს დაამაგრა, შემდეგ ბეჭზე მოიდო, ცალი თვალი დაჭუტა და კორას ისე გახედა და დაუმიზნა, თითქოს დათვი იქ იყოო. ბაბუა რომ ბაჯბაჯით კომკავშირის უჯრედისაკენ წავიდა, ბებიამ მას ამაყად გააყოლა თვალი, მოიწონა თავისი ბერიკაცი, შინ შევიდა ახალი კაბა ჩაიცვა და დარაია დაიხურა.

ამაზე ვაზიას დედას გულიანად ეცინებოდა, მაგრამ დედამთილისათვის არ უნდოდა ეწყენინებია და მეზობლისას გადავიდა მადიანი ხარხარის მოსაწყობად.

ბაბუა რომ უჯრედის სხდომაზე მივიდა, კომკავშირელები გახურებულ მსჯელობაში იყვნენ. მოხუცი კართან გაჩერებას აპირებდა, მაგრამ ერთი კომკავშირელი მკვირცხლად წამოხტა და სკამი დაუთმო. მოხუცი ჩამოჯდა და ფილთას დაეყრდნო.

კომკავშირელები მსჯელობდენ, როგორ გასწორებოდენ დათვს. ვინ რას არ ამბობდა, მაგრამ ვანომ ყველას ლაპარაკი შეაწყვეტინა და ბაბუას მისცა სიტყვა.

ბაბუამ ყმაწვილებს პატიება სთხოვა თავისი შეუძლო ფეხების წყალობით კრებაზე დაგვიანებისათვის და ყალიონი მომართა, ბოლოს. რომ ამოისუნთქა, ვანოს მიჰმართა.

— მის მოსვლამდის არაფერი გეტკინოს, ჩემო ვანო, პაპაშენი დათიკო ახოვანი ვაჟკაცი იყო. რუსები რომ ბათომს იპყრობდენ, ერთადვიყავით. შინაც ერთად დავბრუნდით. გზად გამოვლისას ყულევს ერთი უღელი მოზვერი იყო და ჩამოვრეკეთ შინ. დილით და საღამოთი როშით კვებავდა. ერთხელ ხარის საშინელი ბღავილი მოისმა. დათიკო გარეთ გამოვარდა, ხელში ცული მოჰყვა და საჩეხეში ჩაიჭრა; ხარს კისერში დათვი ჩაჰფრენოდა. ყვირილზე დათვმა დათიკოს შეუტოვა. დათიკომ ცული თავში დაარტყა, და დათვმა სული იქავ განუტევა. ის იყო და ის, მას შემდეგ დათვი ჩვენს ნიადაგეს არავის უნახავს.

კომკავშირელები მხოლოდ ახლა გამოერკვენ, რომ თუმცა დათვის თავდასხმაზე ბევრი ლაპარაკობდა, მაგრამ კვალი ჯერაც არავის ენახა. სინამდვილე კი სინამდვილედ რჩებოდა: ქეთო დათვმა შეაშინა და ენა ჩაუვარდა.

— მაინც რა აზრისა ხართ, ბაბუა? ჰკითხა ვანომ.

— რა გითხრათ, ყმაწვილებო, — დაიწყო ისევ ბაბუამ,-არა მგონია დათვი იყოს სადმე ჩვენს არემარეში, მაგრამ სხვა რამ ავი სული იქნებ არის.

კომკავშირელებმა გადაიხარხარეს.

ბაბუას შერცხვა. ნაწყენად და ხრინწიანად შეუტია ბიჭებს:

— ეშმაკები არც მე მწამს. დათვი თუ არის, თქვენზე ნაკლებ არც მე გამოვდგები საქმეში.

კომკავშირელებმა სიცილი შეწყვიტეს, რადგან მიხვდენ, რომ ბაბუას ძალზე აწყენინეს ამით.

ვანო კი მიხვდა, რომ დათვი მართლაც არაფერ შუაში იყო, მით უმეტეს რომ თოვლში დათვს ძილი უყვარს და არა საფრთხობელად სიარული.

უჯრედიც ამ აზრს დაადგა, მაგრამ „დათვმა“ კიდევ დააფრთხო ბავშვები. რაღა გზა იყო, ტყისა და საყდრის პირად საგუშაგოები ან ყარაულები უნდა დაეყენებიათ.

—

თოვლის მოსვლის მესამე დილით მოიწმინდა. თოვლი გაყინულიყო და ბროლის ღერღილივით ბრჭყვინავდა მზეზე. ნიავს ტყიდან მოჰქონდა ხის კანის საამური სუნი. ქოხებსა და სახლებში გამუდმებით ამოდიოდა კვამლი.

ვაზიას მამამ დილით ძროხას საკვები დაუყარა, წყალი მოზიდა და საარაყე ქვაბი შემოდგა ცეცხლზე. ვაზია გივისას გაიქცა. შინ რომ შევიდა, გივის მამა ჯირკზე ჩამომჯდარიყო და დანას ლესავდა. ვეებერთელა ქვაბი იქაც დუღდა ცეცხლზე. გეჯაც მზად იყო. პატარა ხნის შემდეგ ეზოები ღორის ჭყივილმა აიკლო: კოლმეურნეობის ოჯახები ღორის ხორცს ამზადებდენ საზამთროდ.

გამოსასვლელი დღე იყო. ყმაწვილები შინ იყვნენ და საღამოს ერთიმეორეს უამბობდენ, ვისი ღორი რამდენი ფუთი ავიდა და ვინ რამდენი სასუქი და ალაფი დახარჯა. გივის მამის ღორი მაინც ყველას სჯობდა, ის ოცდაორ ფუთს იწონიდა.

დაღამდა.

კომკავშირელები არსად ჩანდენ. ზოგიერთის თქმით, ისინი ქალაქში წავიდენ და ორ დღესაც არ დაბრუნდებოდენ.

ვაზიას ბაბუა ცეცხლის პირას იჯდა და წუხდა, რომ დათვზე ნადირობა აღარ ერგო ამ მოხუცობის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებია ნიშნის მოგებით ეუბნებოდა მას:

— ბერიკაცს სათრევად და ზურგზე ასაკიდებლად ხომ არ წაგიყვანდენ სანადიროდ.

ამაზე ბაბუას გული მოსდიოდა, იბღვირებოდა და თანაც თავის ბათომის ლაშქრობიდან მოტანილ ფილთას ქურდულად შესცქეროდა.

ვაზიას დედა კი თავის გულში მხიარულობდა გულატეკებული მოხუცების ყურებით და არც ის აკლებდა სახუმრო სიტყვებს.

— ა, მამა, მამა, როგორ იყო, რომ დათვზე გინდოდა ნადირობა? მერე ისიც მავთულით შეკრული ფილთათი?

ჩაიცინებდა და ქაფავდა დასალორავ ხორცს.

კოლმეურნეების სახლებში იმ საღამოს თითქმის ყველას ერთნაირი ვახშამი ჰქონდა: ღორები დაკლეს, ზოგი გემრიელ ნეკნებს შეექცეოდა, ზოგი მოხარშულ ღვიძლს ატანდა ცხელ მჭადს და ზოგიც მწვადსა წვავდა.

ამ დროს კი საყდრის ეზოს ბზისა, ჭყორისა და შქერის ბურდებში ვილაც ინძრეოდა და თავის მსხვერპლს ელოდა. მწვადისა და მოხარშულის სუნი მოჰქონდა სოფლიდან ნიავს, და პირი ნდომითა და ნერწყვით ევსებოდა. გრძელი და აშლილი თმა სახეზე შეჰბურვოდა, შავი ქოთანა გაპრეხილი ქუდი თავს ჩამოჰფხატოდა, ანაფორა ტანს შემოეხვია, ფართოუბეებიანი შარვალი ჩექმებში ჩაეტენებია და ადგილზე ტრიალებდა. ის ამბობდა თავისთვის:

— ღორები საშობაოდ უნდა დაგეკლათ და თითო ბეჭი ჩემთვის უნდა გამოგეგზავნათ. არ ინებეთ? ახლა მე ვიცი, რაც დღე დაგაყაროთ! ეკლესია ხომ ჩემს ხელშია, კიდევ ჩავუგდებ ვისმე შიშით ენას.

მღვდელი ბურდებში შეირხა, და კუნელში თავშეფარებული ბელურები სიბნელეში აფართქალდენ.

თოვლიანი შარიდან ფეხის ხმა მოისმა. მღვდელმა ბზის ტოტებში გაიხედა და თოვლის შუქზე გაარჩია ორი მომავალი, რომლებიც გულიანად იცინოდენ, ერთიმეორეს თოვლს აყრიდენ. მომავლები ქალები იყვნენ.

მღვდელმა უცებ ჯიბეში ჩაიდო ხელი, ასანთი გაკრა და ჯოხის წვერზე გაკეთებულ, ნავთში ამოვლებულ ბამბას მოუკიდა სწრაფად, მერე ისევ თოვლში ჩაკრა და ჩააქრო. ალმა უცებ გაანათა არემარე და ისევ ელვის სისწრაფით ჩაქრა.

უცებ ყველაფერი დადუმდა. ქალებმა შეკივლეს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მოკურცხლეს.

მოშორებით ჩასაფრებულ ვანოსა და მის ამხანაგებს სწორედ ეს უნდოდათ, ხელათ გადმოხტენ, თოფები ჩახმახზე შეაყენეს და ბურდებს დაუარეს. დიდი ხანი ძებნეს „დათვი“, მაგრამ ვერსად აღმოაჩინეს. ბოლოს ერთი კომკავშირელი ბზის ბუჩქნარში შევიდა, საიდანაც საეჭვო ხვნეშა მოესმა, და სიცივისაგან აკანკალებული მღვდელი გამოათრია.

ეს ამბავი დილითვე შეიტყო სოფელმა. ქეთოს მამა კეტით გამოვარდა, უნდოდა მოებეგვა დათვი, მაგრამ რადგანაც ქეთოს მოკეთება ეტყობოდა, ღანძღვა-გინებით შინ დაბრუნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაზიას ბაბუა კი თავისთვის ამბობდა:

— იმე, აბა ვის გაუგონია დათვი ჩამოსულიყოს ჩვენს სოფელში, მთაშიაც გააწყვეს მონადირეებმა.

შობადღეს ზარი დიდხანს რეკდა: ეძახდა მლოცველებს. ბაბუამ ქალამნები ჩაიცვა, ძველი ჩოხა მხრებზე მოიდვა, ქამარი მაგრად შემოიკრა მოხრილ წელზე და სკოლისაკენ გააცილა ვაზია.

გამოციებულ საყდარში მღვდელი ღრიალებდა, მას ბანს აძლევდა სიცივისაგან აკანკალებული დიაკონი.

ბაბუა ხელსაბიჯგი ჯოხით შეუვარდა მღვდელსა და დიაკონს, დიდხანს ლანძღა, აგინა და გამოვიდა.

— მშიერი დათვი! მშიერი დათვი!—იძახოდა მოხუცი, ვაზია კი გულიანად იცინოდა.

ბ. ჩხეიძე.

საოცარი გაფრენა

ეს ამბავი მოსკოვში მოხდა.

29 სექტემბერს მოსკოვის ერთერთ სახლში მამას სულგანაბული უსმენდენ შვილები, მამა კი მეტად საინტერესო ამბავს მოუთხრობდა მათ. ბავშვები ხანდახან ვერ ითმენდენ და კითხვებით აწყვეტინებდენ მას საუბარს.

— მამა, მაშ ხვალ უეჭველად წაგვიყვან აეროდრომზე?

— წაგიყვანთ, შვილო, წაგიყვანთ.

— აეროდრომი რა არის?—იკითხა პატარა ვასიამ.

— აეროდრომი დიდი ვაკე ადგილია, საიდანაც აფრინდება ჰაეროპლანი და ძირსაც ისევ იქ დაეშვება. აეროდრომზე არც უსწორმასწორო ადგილებია, არც ქვები, და ჰაეროპლანს თავისუფლად შეუძლია გაგოგდეს, მერე კი ნელნელა მოსწყდება მიწას და ჰაერში ავა. როდესაც ჩამოფრინდება, მაშინაც ერთხანს გოგავს და მერე შეჩერდება.

— მაშ, როგორც გითხარით, ხვალ უნდა აფრინდენ ჰაერში სტრატოსტატით,—განაგრძო მამამ.—ეს სტრატოსტატი ჩვენ ქარხნებში გააკეთეს.

— სტრატოსტატი რაღა არის?—ისევ იკითხა ცნობისმოყვარე ბავშვმა.

— აი, შვილო, დახედე სურათს. ეს არის სტრატოსტატი. ის აფრინდება მაღლა, ძლიერ მაღლა. მას მიბმული აქვს პატარა ოთახი, რომელსაც გონდოლა ჰქვია. იმ ოთახში ადამიანები ჩასხდებიან.

— ღრუბლების ზევით აფრინდებიან, ვასია, —უთხრა თვალებგაბრწყინვებულმა კოლიამ.

—არაფერიც!—მიუგო ბიჭუნიამ.—შენი თავი მოატყუე.

— აი, უყურე ახლა ამას! მართალს არ ვამბობ, მამა?

— მართალს ამბობ, ისინი ძალიან, ძალიან მაღლა აფრინდებიან და ჩვენ რადიოთი გვაცნობებენ, თუ რა მდგომარეობაში იქნებიან, ან რას ნახავენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რადიოც ექნებათ?—გაიოცა ვარიამ.

— რადიოც ექნებათ და ისეთი მოწყობილობანიც, რომელნიც ჩაწერენ იქაურ ამბებს, მაგალითად: რამდენი გრადუსი სიცივეა და სხვ. ჩვენ ხომ ჯერ არ ვიცით, იქ რა ამბებია, ჯერ ადამიანი იქ თითქმის არც ყოფილა.

— როგორ თუ თითქმის? ვინმე იყო იქ?

— ერთი ბელგიელი პროფესორი აფრინდა, გვარად პიკარი.

— ძალიან მაღლა აფრინდა?

— თექვსმეტ კილომეტრზე და ორას მეტრზე. ჩვენებს კი უფრო მაღლა უნდათ აფრენა.

— უჰ!—გაუკვირდათ ბავშვებს.

— დიდია ის სტრატოსტატი? —იკითხა ნიურამ.

— დიდია, დიდი. აი, ხვალ თქვენ თვითონ ნახავთ.

— მაინც რამხელაა, მამა?—არ ისვენებდა ცელქი ვასია.

— ათსართულიანი სახლის სიმაღლეა, ბავშვებო.

ბავშვებმა გაოცებისაგან პირი დააღეს. ნიურამ და ვარიამ ერთმანეთს გადახედეს: ხუმრობს მამა თუ მართლა ამბობსო, და მამის სახეზე ამოიკითხეს, რომ ის არა ხუმრობდა.

— ათსართულიანი სახლის სიმაღლე?!—გაფართოებული თვალებით გაიმეორა ნიურამ.

— აბა, ახლა კი ძილის დროა, ხვალ ადრე უნდა ავდგეთ,—უთხრა მამამ ბავშვებს.— ხვალ თვითონ ნახავთ, რამხელაა და რანაირი...

*
* *

30 სექტემბრის დილაა. მოსკოვის აეროდრომს აუარებელი ხალხი მოაწყდა. მოდიან ტრამვაით, ავტობუსებით, ავტომობილებით, მოდიან და მოდიან...

— ძალიან საინტერესოა, ძალიან!

— თუ კარგად დასრულდა ეს აფრენა, ეს ჩვენი ქვეყნის დიდი გამარჯვება იქნება.

— კაცო, როგორ არ ეშინიათ, ჰაერის ზევით უნდა აფრინდენ, სადაც არავინ არ აფრენილაო. იქ, თურმე, ისეთი სიცივეა, ისეთი სიცივე, რომ პირდაპირ გაგაგიჟებს.

— ეჰ, კარგი, ერთი, შენც თქვი, რაღა! სიცივე იქნება, აბა რა, მაგრამ მათ კი არ შესცივდებათ: ისინი დახურულ გონდოლაში, ე. ი პატარა ოთახში იქნებიან.

აი აეროდრომიც. ირევა ზღვა ხალხი.

უზარმაზარი მტრედისფერი სტრატოსტატი მზად არის ასაფრენად. ის მსხალს წააგავს, დაბლა ვიწროა, მაღლა კი ფართო. თვალი ვერ ძღება მისი ცქერით.

— გასაფრენად! — გაისმა ბრძანება.

— არის გასაფრენად! — გაიძახის გონდოლაში მჯდომი, და ეს თვალწარმტაცი სტრატოსტატი მოსწყდა მიწას, ავიდა მაღლა, მაღლა, თანდათან პატარავდებოდა და ბოლოს ბურთის ოდენა გახდა. მთელი მოსკოვი მისჩერებოდა. მაშინ ყველას ცისკენ ჰქონდა თვალები მიპყრობილი. ეს მოხდა დილის 8 ს. 41 წუთზე.



27 წუთის შემდეგ სტრატოსტატმა რადიო გამოგზავნა:

— 12 კილომეტრის სიმაღლეზე ვართ. გარეთ 65 გრადუსია ნოლს ქვევით.

ორი რადიოსადგური უსმენდა მას და პასუხს უგზავნიდა.

აი კიდევ მოვიდა რადიოცნობა:

— 17 კილომეტრსა და 900 მეტრის სიმაღლეზე ვართ. გარეთ 67 გრადუსი ყინვაა. გონდოლაში კი 22 გრადუსი სითბო.

კიდევ რადიო:

— 12 ს. 45 წუთი. სიმაღლე -19 კილომეტრი.

19 კილომეტრის სიმაღლეზე აფრინდა სამი უშიშარი ადამიანი: პროკოფიევი, ბირნბაუმი და გოდუნოვი.

არცერთი ადამიანი არასოდეს არ ყოფილა ამ სიმაღლეზე.

საბჭოთა კავშირმა გაიმარჯვა, გაიმარჯვა მის ქარხნებში გაკეთებულმა ათსართულიანი სახლის სიმაღლე სტრატოსტატმა.

საღამოს 5 საათზე სტრატოსტატი „C C C P“ ლამაზად დაეშვა ქალაქ კოლომნაში, მდინარე მოსკოვის ნაპირას.

შ. თაბ—ლი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზარიკოს თხოვნა



დილიდან მოყოლებული
გუშინ მთელი დღე თოვდა,
დარიკო დაღონებული
დედას მუდარით სთხოვდა:

— შენი ჭირიმე, გეთაყვა,
დედი, გამიშვი გარეთ,
გავითამაშებ ერთ-ორ წამს
და დავბრუნდები მალე.

— გამიცივდები, გოგონავ,—
ეუბნებოდა დედა,—
ხედავ, რამხელა მოთოვა,
რა ამინდია, ხედავ!

რა ქნას, ეწყინა დარიას,
ბუხარს მიუჯდა თბილად.
გარეთ თოვა და ქარია,
ფისოს ბუხართან სძინავს.

დღეს დასვენების დღე არის,
გულმა დაუწყო ძგერა,
დავალებული დღიურის
იწყო გოგონამ წერა...

გიორგი კალანდაძე.

სტუმრები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღეს მთიელ ბავშთა სახლში სტუმრებს ელიან.

დიდი ამბავი, დიდი ფუსფუსია გაჩაღებული, გოგო-ბიჭები დარბაზში სკამებს აწყობენ, პლაკატებს აკრავენ, ყვავილებით აქაურობას ქარგავენ.

—კაკ —კუკ, კაკ —კუკ! —გაისმის დარბაზის აღმოსავლეთ ნაწილში რახუნი. იქ სცენას მართავენ, ჩქარობენ.



ხმამაღლა ლაპარაკი, სიცილი და ზოგჯერ კი გაჯავრება ისმის ფარდის იქით.

ბავშვები შედიან და გადიან, პაწია სტუმრებს მოუსვენრად ელიან.

ყველანი აქ არიან, ყველანი, გარდა დიოლასი და სოფიკოსი.

ეს ორივენი ახალჩამოსულნი არიან. ისინი ჯერ აქაურობას ვერ შესჩვეოდნენ. ელექტრობა, სისუფთავე, გემრიელი ჭამა-სმა და კოხტად ჩაცმა-დახურვა პირველ დღეს ძლიერ ესიამოვნათ, მაგრამ შემდეგ, როცა თავიანთი სოფელი, ერთს დედა და მეორეს საყვარელი მამიდა გაახსენდა, საცოდავად აიბუზნენ და ჩუმად აცრემლდენ.

აგერ მეორე დღეა ბავშვებს არ ეკარებიან. სულ განმარტოებას ეძებენ, რომ თავისუფლად იფიქრონ საყვარელ სოფელზე.

აი, ახლაც.

დიოლა ფანჯარას მისდგომია და მამადავითის მთას გასცერის.

ზამთრის პირია, მთის მწვერვალიდან თოვლი მოჩანს.

ცოტა ქვემოთ მამადავითის მთის გულ-მკერდს ნისლი ფარავს.

მთიელ ბავშთა სახლის წინ გაშიშვლებული ხეები დგანან, ცივი ქარის დაბერვაზე ისინი ოდნავ ზუზუნებენ და ტიტველა შტოებს ნაღვლიანად არხევენ.

ხშირი ღრუბლები დაბარებულივით სადღაც სწრაფად გარბიან.

დიოლამ შეხედა ბურუსით შემოსილ მამადავითის მთას და საყვარელი სვანეთი გაახსენდა.

გაახსენდა უზარმაზარი ყინულიანი მთები, კლდიდან ლურჯად ამოხეთქილი მდინარის ოდენა წყაროები, მრავალკოშკიანი სოფელი, დიდი აგიზგიზებული ბუხარი, პაპას ყალიონი და ცხელცხელი საუზმე.

გული სიხარულით აევსო, როცა თავისი საყვარელი წითელი ხბო თვალწინ დაუდგა, თავისი ფუჩინა, შუბლზე რომ თეთრი ნიშანი ჰქონდა.

როგორ უყვარდა დიოლას, როცა ის მასთან მივიდოდა: ნიშა ყოველთვის ხელებზე ეტანებოდა და ლოკავდა. დიოლას მუდამ მარილიანი ლუკმა ედო ჯიბეში. სწორედ იმ ლუკმით შეიჩვია ის ხბო. სადაც უნდა მოესწრო თვალი, ნიშა იმ წამსვე ხტუნვა-კუნტრუშით გაქანდებოდა გოგონასაკენ, ეს დიოლას ძლიერ უყვარდა. ბევრჯერ ისიც ყოფილა, რომ ხბო ბავშვს თავისებურად გაჰხუმრებია: ალერსის დროს მხიარულად რქებით დასძგერებია.

დიოლამ მამადავითის მთას თვალი მოაშორა და საწოლისაკენ გაიხედა. იქ თავჩაქინდრული სოფიკო იჯდა.

ის ისე ძლიერ იყო დაღონებული, ხელებსაც ისე აფოთიალებდა, რომ საცა იყო ტირილს დაიწყებდა. დიოლას თავისი თავი დაავიწყდა. სოფიკო ძლიერ შეეცოდა და მასთან მივიდა.

— მოდი, სონა, მე და შენ ერთად ვითამაშოთ, ჩვენ იქ ნურაკი წავალთ. რად გვინდა, იქ ვიღაც უცხო სტუმრები უნდა მოვიდენ.

სონამ თავი დაიქნია,—ეს თანხმობის ნიშანი იყო.

— მოდი, შენ რომ თამაშობა მასწავლე, შენ გენაცვალე, ის ვითამაშოთ. მე ძლიერ მომეწონა.

დიოლამ ორივე ხელის თითები ფართოდ გაშალა, ერთმანეთს მიადო და კიბე გააკეთა.

— აბა, ჰა! შენ მეზობლის გოგო იყავი, მე დიასახლისი ვიქნები. ჰა, ჩქარა, შენ გენაცვალე, შენი ჭირიმე...

სონას თამაშობა იმ წამს სრულიადაც არ უნდოდა, მაგრამ დიოლას ალბა სიანმა ხვეწნამ იმოქმედა, ხათრი ველარ გაუტეხა, შუბლიდან თმები გადაიწ-გადმოიწია და პაწია სალოკი თითი ქვემოთ, ნეკებზე დაადო.

— დედაჩემმა ერთი პური მასესხეო...

გაპარებული ხმით დაიწყო მოწყენილმა სონამ.

— გოგო, ზემოთ ამოდი, ზემოთ, შორიდან რას შემომძახი, — ვითომ აივ-ნიდან დარბაისლური ხმით ჩამოსძახა დიასახლისმა – დიოლამ.

— ძაღლისა მეშინია, ძაღლისა, — ბურანში წასულივით წარმოთქვა სონამ და ისევ მოგონებამ გაიტაცა, ისევ თავისი სოფელი თვალწინ ნათლად დაეხატა.

აგერ მამიდას თონე, ალი ცამდის ადის, მამიდა ნაზუქს აცხობს, სტუმრებს მოელის, სონას კოხტა კვერს უცხობს, და სონას ძლიერ უხარია.

იქვე მურია ძაღლი წევს, ლმობიერი თვალებით თეთრ გუნდებს უცქერის. ნაზუქის გამოცხობის შემდეგ თონეში ყვითელ დიდ გოგრას შეწვავენ. თა-ნაც რამდენი ხილი აქვთ! იქვე მარნიდან ვაშლისა და მსხლის სუნი მოდის. მაგრამ განა მარტო იმათ ჰქონდათ ბევრი ხილი. სოფლის ეკლესიის დიდ გა-ლავანში, კოოპერატივის შენობებში ხილის მთები იდგა, ურმების ქარავნები ვაშლსა და მსხალს ეზიდებოდა და სოფელს ხილი თითქოს არც კი აკლდე-ბოდა. აქ კი...

— რა ვქნა, რას გაშტერდი, ამოდი, რალა, ზევით. შენ, ეი! არ გესმის-

სონას თითქოს გამოეღვიძა. მან სწრაფად თითი ზემო საფეხურზე ადგა და ისევ შესძახა;

— დედაჩემმა ერთი პური მასესხეო!

— ზევით ამოდი, — უპასუხა დიოლამ.

— ძაღლისა მეშინია, — ოდნავ წარმოთქვა სონამ და ისევ ჩაფიქრდა.

ახლა მამიდას სახლი აეყუდა, თვალწინ სონა მამიდასთან იზრდებოდა

სახლი წყლისპირად ჰქონდათ აშენებული, მთვარიან ღამეში წყალი ისე ლაპლაპობდა, როგორც სარკე.

ო, ო, როგორ უყვარდა სონას თავიანთი სახლის გვერდით ლეკურის გა-ჩაღება! მთელი უბნის გოგოები მუდამ თავს იქ იყრიდენ, შუაღამემდის ცეკ-ვავდენ. დაირის მაგივრად მამიდას ნამზითვ მიჭყლეტილ-მოჭყლეტილ ტაშტს უბრახუნებდენ, სონა კი პირით ისეთ მუსიკას აწიწკინებდა, რომ ხუთ არღან-სა და ათ ზურნას გაახუნებდა.

მერე რა კეთილი მამიდა ჰყავს, ის არც გოგოებთან რბენას და არც ცე-კვას არ უშლიდა. „ნეტავი სად არის, სად, ცალი თვალით მაინც დამანახვა...“

— ძაღლი დაბმულია, გოგო, დაბმული!

ჩასძახის დიოლა ისევ გაშტერებულ სონას.

სონა მოტრიალდა, დიოლას ზურგი შეაქცია და თვალებზე ხელები მი-იფარა. ამ წამს ხმაურობა მოისმა, აივანზე მრავალი ფეხი ამოძრავდა.

ოთახში, სადაც დიოლა და სონა იყვნენ, პაწია მოხევე შემოვარდა.

— მოდიან, არიქა, მოდიან! ჩვენი სტუმრები მობრძანდებიან, იმდენი არიან, იმდენი, რომ...

როიალის ხმაც მოისმა, მარშს უკრავენ, ხმაურობა და გუგუნი ძლიერდება.

სონამ სწრაფად მოიწმინდა ცრემლები. გოგოებმა გამოავდარებულ მზესავით შესცინეს ერთმანეთს და ორივენი გამოცვივდენ.

მართლაც მოსულიყვნენ. მთიელ ბავშვებს პირველი საცდელ-საჩვენებელი საბავშვო ბალი ესტუმრა.

მასპინძლები წითელი ბაირაღებით მიეგებნენ. დღეს სტუმრებს წარმოდგენას აჩვენებენ. იმღერებენ, ლექსებსაც იტყვიან...

დიოლა და სონა საწოლი ოთახიდან მოკრძალებით იცქირებიან.

სტუმრები სულ პაწაწები არიან. ჭკვიანად მოდიან. ყველას სახე უცინის.

დარბაზის ზემო ნაწილში სცენა უკვე გამართულია, ჩამოშვებული ფარდა ნელა ირხევა.

მასპინძლები დიდ ფაციფუცში არიან. მოუსვენარი ხმაურობა, ზოგჯერ სიცილი ისმის ფარდის უკან.

საცაა ზარიც დაიწკრიალებს. სტუმარი ბავშვები სცენის წინ გაშლილ ხალიჩებზე ფერად მძივებივით ჩაიწკაპნენ.

ისინი გულისფანცქალით ელიან წარმოდგენას.

დიოლა და სონაც პაწია გოგონებს მისხდომიან და ახლადმოსულებს ცნობისმოყვარეობით შესცქერიან.

დარბაზში ჭაღი აინთო. ბურუსმა ქალაქი ჩამოაბნელა, სცენაც გაჩაღდა.

ზარი კიდევ დაირეკა, და ყველა გაჩუმდა. ფარდა აიხადა, სცენაზე პიონერები გამოჩნდენ. პიონერებს კრება აქვთ.

თავმჯდომარე აირჩიეს, სიტყვის ნებართვას იღებენ და რაღაცას ლაპარაკობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაწია ბავშვებს ჯერ არაფერი ესმით, მაგრამ ლაპარაკს რომ ათავებენ, ყველა ტაშს უწკაპუნებს.

ანტრაქტი გრძელი გამოდგა.

ფარდისაკენ ისევ კაკუნი და ჩოჩქოლი ატყდა.

სტუმარი ბავშვები თითქოს დაიღალნენ. ისინი ჯერ ოდნავ ახმაურდენ, მერე სკასავით აგუგუნდენ.

მერე კი... მერე ნამდვილი წარმოდგენა იქ იმართება.

სიმღერა, ხტომა, ცეკვა...

გივი სკამზე რაღაცა ვარჯიშს აკეთებს...

თინიკოს მაყვალას ზურგზე თითები აუთამაშებია, ვითომ პიანინოზე უკრავს, თან ისე გაჭიანურებით წრიპინებს, რომ ბავშვები სიცილით კვდებიან.

ნათელა ლექსს ამბობს: „ყვავო, ყვავო, ყვანჩალაო...“

ზოგნიც მღერიან, ყველა თავის სურვილს ისრულებს, ყველა მხიარული და ბედნიერია.

დიოლა და სონაც იქვე მიმსხდარან და თავიანთი საყვარელი თამაშობით გულს ართობენ.

— დედაჩემმა ერთი პური მასესხეო.

— ზემოთ ამოდი, გოგო...

— ძაღლისა მეშინია...

— დაბმულია, შვილო, ნუ გეშინია...

სონას თითი ზემოთ ცურდება. მეხუთე საფეხურზე რომ ავა, ვითომ ძაღლი ჯაჭვს გაწყვეტს და გოგოს გამოუვარდება.

— ჰაუ, აუ, აუ!—ყვირის დიოლა, შეშინებული სონა ხარხარებს, სტუმარი ბავშვები შემოჰხვევიან. ახალი თამაში ყველას ძლიერ მოეწონა, ყველა კიბეს აკეთებს, პურს სესხულობენ; ზოგი ძაღლივით ყეფს და ყველანი ხარხარებენ. სონა და დიოლა ახლა ძლიერ ბედნიერები არიან.

ცქვიტი



შალვას რვეული

ჯგუფში ცხარე კამათია,
პირველ სიტყვას ამბობს შალვა:
— ყველა რვეულს ხაზები აქვს,
ამან რაღა დააშავა?!

ამ რვეულზე ჩვენ ვერ დავწერთ
სწორ ხაზებად ვერცერთ სტრიქონს,
ალბათ, ფიქრობს ვიღაც ასე,
ნასწავლები ვიყოთ თითქოს...

მქონდა დიდი მონდომება
დამეწერა სუფთად, კარგად,
მაგრამ ბევრჯერ, უხაზობით,
შრომა ფუჭად დამეკარგა.

აბა, ერთი, სოცშეჯიბრში
როგორ უნდა გავიმარჯვო,
უვარგისი ნივთის გამო,
ქალაქდი რომ დაიბლაჯნოს!

დღეს კი, ჩემო მეგობრებო,
კარგად წერა გვმართებს მხოლოდ,
სჯობს უხაზო რვეულებში
წერას უკვე დავეთხოვოთ.

გამოიჭრა ცელქი გვი
ოქტომბრელთა ერთერთ წრიდან,
იგი თავის დამკვრელობით
ცნობილია გასულ წლიდან:

„რვეულების დარდი ნუ გაქვთ,
ახლა უკვე მოგაქვთ ბევრი,
რამდენიც გსურს იმდენს დაწერ,
ხაზებშიც არ დაიბნევი“.

და ბავშვებში გოგის სიტყვით
დატრიალდა სიხარული,
ხაზიანი რვეულების
ამოძრავებსთ სიყვარული.

ჯგუფში ცხარე კამათია,
პირველ სიტყვას ამბობს შალვა:
— ყველა რვეულს ხაზები აქვს,
ამან რაღა დააშავა?!

ლავრენტი ჭიჭინაძე

ს. ბუდიონი—წითელი სარდალი

არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანაში, საბჭოთა კავშირში, მუშათა კლასმა და წითელმა არმიამ იდღესასწაულეს სიმონ ბუდიონის დაბადების 50 წლისთავი.

ვინ არ იცის, ვინ არის ბუდიონი! სად გინდა, რომ არ გაიგონოთ მისი სახელი! მის შესახებ ბევრი საინტერესო ამბავი წერია წიგნებში, მისი სახელი ყოველთვის გვხვდება გაზეთებში.

ბუდიონის გმირობის შესახებ ხშირად ქუჩებშიც გაიგონებთ.

აი მოდის ლამაზად, მწყობრად დარაზმული წითელარმიელების რიგები, ისინი მღერიან ხალისიანად და ამ სიმღერაში იხსენიებენ ბუდიონის სახელს, ბუდიონის შესახებ ამ სიმღერას მღერიან მეზღვაურები, კომკავშირელები და პიონერებიც.

ბუდიონი ერთი უსაყვარლესი ხელია ჩვენს ქვეყანაში. მერე რატომ? იმიტომ, რომ ბუდიონი იყო ერთი უშესანიშნავესი, ნიჭიერი, გაბედული სარდალი წითელი ცხენოსანი არმიისა, რომელიც გმირულად და თავგანწირულად ებრძოდა ჩვენი ქვეყნისა და მუშათა კლასის უამრავ მტერს.

ეს მტრები იყვნენ კაპიტალისტების დამცველი თეთრგვარდიელები, გენერლები.

ვინ მოთვლის, რამდენი სისხლი დაიღვარა, რამდენი საუკეთესო ადამიანი დაიღუპა იმისათვის, რომ ჩვენ ბედნიერად გვეცხოვრა.

იმ ომებსა და ბრძოლებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენში, სამოქალაქო ომები ეწოდება. ეს იყო ის დრო, როცა რევოლუციურ რუსეთს გარს შემოერტყა თეთრგვარდიელებისა და უცხოეთის იმპერიალისტური სახელმწიფოების ჯარები. მათ უნდოდათ ძველი თავად აზნაურული, მდიდრების მთავრობის დაბრუნება, ბოლშევიკების გარეკვა და მუშათა კლასისათვის ძალა-უფლების წართმევა.

მაგრამ მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა მეფის გენერლებსა და მათ ჯარებს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებრძოლა. ამ ბრძოლას მუშებისა და გლეხების ინტერესების დასაცავად წითელი არმია აწარმოებდა.

წითელმა არმიამ კონტრრევოლუციურ გენერლებთან ბრძოლაში მრავალი თავგანწირული და გმირული ბრძოლა გადაიხადა. ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების მთელი ყურა-

დღება სამოქალაქო ომის პერიოდში წითელი არმიისადმი იყო მიპყრობილი.

ამხ. ლენინი უდიდეს ყურადღებას აქცევდა წითელი არმიის ბრძოლებს. ამხ. სტალინი თვითონ უშუალოდ იღებდა მონაწილეობას წითელი არმიის გამარჯვებათა მოწყობაში, თვითონ უშუალოდ ხელმძღვანელობდა ომის წარმოებას.

განსაკუთრებით სახელოვანი ბრძოლების წარმოება მოუხდა სამოქალაქო ომში წითელ ცხენოსანთა არმიას.

სწორედ ამ არმიას მეთაურობდა ს. ბუდიონი. იგი სამოქალაქო ომამდის შეფის უბრალო ჯარისკაცი იყო, უღარიბესი გლეხის შვილი. როცა ჩვენს ქვეყანას და ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებას დაუწყეს ბრძოლა ათასგვარმა კონტრრევოლუციურმა გენერლებმა, ბუდიონმა გადაწყვიტა მათ წინააღმდეგ ბრძოლა. მან თავის სოფელში შეაგროვა რამდენიმე ცხენოსანი კაცი, დაიარა მთელი ახლომახლო სოფლები, მოხალისეებისაგან შეადგინა საკმაო რაოდენობის ცხენოსანი რაზმი და კონტრრევოლუციონერებს გაუმართა ბრძოლა.

ამ რაზმმა გაუმართა ბრძოლა თეთრგვარდიელების ჯ. რებს, იგი დევნიდა მათ, თავს ესხმოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ბუდიონის რაზმი შეუერთდა წითელ არმიას, და პატარა ცხენოსანი რაზმისაგან შედგა მთელი ცხენოსანი არმია, რომელიც ისე საშიშარი შეიქნა თეთრგვარდიელებისათვის, რომ როცა კი გაიგონებდენ ბუდიონი მოდისო, შიშით გარბოდენ.

ბუდიონის სახელი საყვარელი გახდა მშრომელი მოსახლეობისათვის, წითელი არმიისათვის, ხოლო თავზარდამცემი იყო მდიდრებისა და თეთრგვარდიელებისათვის.

ბუდიონმა თავისი ცხენოსანი არმიით მრავალი ბრძოლა და შეტაკება გადაიხადა სამოქალაქო ომის ფრონტზე, მრავალმა გენერალმა იგემა მისი გამბედავი და გმირული შეტევა და თავდასხმა.

„წითელი გენერალი გლეხობიდან“ — ასე უწოდებდენ ბუდიონს ჩვენი მტრები. ბუდიონს მოუხდა ბრძოლა გენერალი დენიკინის, მამონტოვ შკუროვის, ოკროვსკის, პავლოვის, მახნოს, ვრანგელისა და პილსუდსკის ჯარების წინააღმდეგ.

ბუდიონმა გაათავისუფლა და გაწმინდა თეთრგვარდიელების ჯარებისაგან უამრავი ქალაქი. როსტოვი, ვორონეჟი, ტაგანროგი და სხვ.

მან ალაგმა ბანდიტი მახნოს თარეში, რომელიც ერთი ქალაქიდან მეორეში დაქროდა და სისხლის ღვარს აყენებდა ყოველგან, ათასობით ახრჩობდა მუშებს, ცოცხლად მარხავდა კომუნისტებს.

პროლეტარული დიქტატურის დასაცავად, კონტრრევოლუციური შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისათვის ს. ბუდიონი დაჯილდოვებულია წითელდროშოვანი სამი ორდენით, იგი საბჭოთა კავშირის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრია.

ბუდიონის სახელი საყვარელია ჩვენში, მისი გმირობისა და თავდადების შესახებ მშრომელები მღერიან სიმღერებში, ბუდიონის სახელს მთელი მსოფლიო ბურჟუაზია, იცნობს, მისი სახელი მათ შიშს ჰგვრის.

სამოქალაქო ომების შემდეგ, სადაც გაითქვა სახელი როგორც ნიჭიერმა სარდალმა, ბუდიონმა ხელი მოჰკიდა სამხედრო აკადემიაში სწავლას და კიდევაც დაასრულა იგი.

ბუდიონი ამჟამად 50 წლისაა, მუშაობს სამხედრო და სამეურნეო მშენებლობის დარგში.

ა. ს.

თედოს ნაამბობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, მითხარით, ბავშვებო, რომელს თქვენგანს უნახავს ზღვა? — ჰკითხა პატარა თედომ მესამე ჯგუფის ამხანაგებს, რომელნიც დიდი დასვენების დროს სკოლის ეზოში იყვნენ გასული გასართობად.

— მე ძინახავს, ბათომში ვყოფილვარ, — უთხრა შოთამ.

— მეც მინახავს, ფოთში ვყოფილვარ! — წამოიყვირა მიტუშამ.

— მე კიდევ ორი წლის წინათ მამამ სოხუმში წამიყვანა, იქიდან გაგრაში დიდი გემით ვიმგზავრეთ. ოჰ, რა კარგი გემი იყო, რა მშვენიერი, ლამაზი, კოხტა, სწრაფმავალი! — სხაპასხუპით მიაყარა პატარა თინიკომ.

— მე ზღვა არ მინახავს, — თქვა ერთმა ნაღვლიანად.

— არც მე, — მოაყოლა მეორემ გულდაწყვეტით.

— რა გულით მინდოდა მენახა, მაგრამ...

— კარგი, გეყოფა, — გააწყვეტინა თედომ, — რაკი უმრავლესობას ზღვა არ უნახავს და ძალიან კი გაინტერესებსთ, დავსხდეთ აგერ და ვიდრე ზარი დაირეკებოდეს, მე გიამბობთ ქობულეთში ჩემი მოგზაურობის ამბავს.

ბავშვები დასხდენ, თედომ დაიწყო.

— ხშირად გამიგონია და მამაჩემსაც უთქვამს: „ზოგი ჭირი მარგებელიაო“. სწორედ ამ ჭირმა, ავადმყოფობამ მარგო, თორემ ისე აბა ვინ წამიყვანდა ზღვაზე საჰაეროდ. ერთ მშვენიერ დღეს, მას შემდეგ, რაც ლოგინიდან წამოვდექი, მამამ გამომიცხადა: ექიმმა მირჩია და ქობულეთში უნდა წაგიყვანოთო.

— რა კარგია! — ჩაურთო წუკრიმ.

— ნეტავი მეც ავადმყოფი ვყოფილიყავი, — დასძინა ციალამ.

— აბა, მაშინ ხომ მეც წამიყვანდა მამაჩემი, — თქვა მარჯვნით მჯდომმა სიკომ.

— ტფილისიდან ჩვენი მატარებელი დაგვიანებით გავიდა, — განაგრძო თედომ, — მაგრამ, მცხეთას რომ გავსცდით, მემანქანემ მატარებელი ძალიან გააქანა და სტალინისამდის უკვე აინაზღაურა დაგვიანებული დრო...

— სტალინისიდან ხომ არც კი დაიგვიანებდა, — გააწყვეტინა სანდრომ.

— მართალია, სტალინისიდან ჩვენი მატარებელი ელექტრომავალმა წაიყვანა. კარგი რამ ყოფილა ელექტრომავალი; ხომ იცით, სრულებით არ არყევს მატარებელს. დაიძვრის თუ არა სადგურიდან, წამსვე სწრაფად მიდის. გადასარბენზე არ ხრიგინებს, როგორც ჩვეულებრივი ორთქლმავალი.

დილით ადრე მივუახლოვდით ზღვის ნაპირს. როგორც კი სადგურ ოჩხამურს (აჭარისტანის პირველი სადგურია) გავსცდით, წამსვე ზღვა გამოჩნდა. ისე ავღელდი, რომ პირველად ვერაფერი დავინახე, თვალზე ხელი მოვისვი, კარგად დავაცქერდი... მწვანე, ფართო ველი მეგონა, შრიალა, ჯეჯილივით ირხეოდა! ახლადამოწვერილ მზის სხივებზე სარკესავით ლაპლაპებდა.

— ალბათ, ზედმეტმა აღტაცებამ თუ გაგაშეშა, — იკითხა თინიკომ.

— სწორედ ეგრე მოხდა, — განაგრძო თედომ, — ქობულეთის სადგურიდან საგარაკო ადგილებამდის და ზღვისპირამდის რამდენიმე კილომეტრია. ჩვენ

ჩავსხედით აჭარელის რიზა-ალი ყურშუბაძის ეტლში. რიზა-ალი [illegible] მცხოვრებია. კოლექტივში ჯერ არ შესულა და ამიტომ ჯერ იხევ სოლარიბეშია; ცხენები დამჭლეულებია, გასძვალტყავებია... ძლივს მიგვიყვანა დანიშნულ ადგილას. თუმცა მამა მიკრძალავდა, მაგრამ მაინც იმდენი მოვახერხე, რომ, როგორც კი დავბინავდით, იმ წუთსვე ზღვისპირას გავჩნდი. იქ მალე მემედ მენავეს გავეცანი; ჩემს გარდა სხვებიც იყვნენ. მოვურიგდით და ნავით ზღვაში ძალიან შორს შევცურეთ.

— მერე, არ შეგეშინდა?! ჰკითხეს პატარებმა თედოს.

— მე არ შემშინებია, მამაჩემი კი ძალიან შეშინებულიყო და გამწარებული დამეძებდა. ნაპირზე მყოფთ კი უთქვამთ მისთვის:

— ნუ გეშინიათ, თქვენი შვილი მემედ მენავემ წაიყვანა და მალე ნაპირზე გადმოიყვანს უვნებლადო.

— მერე, მერე? რა საინტერესოა! ზღვა წყნარი იყო, არ ღელავდა?—მიაყარეს თედოს კითხვები პატარებმა.

— ზღვა სრულებით არ იძვროდა; მემედმა ნიჩაბის მოსმა მასწავლა და ნავი მე თვითონ წამოვიყვანე უკან ნაპირისაკენ.

ჩვენ ფადიმე ცინარიძის სახლში დავბინავდით. ფადიმეს ორი წლის წინათ გარდასცვლია ქმარი და დღეს, ოთხი შვილის პატრონი, ქვრივი ფადიმე გაჭირვებას განიცდის.

— რატომ კოლექტივში არ შეხვედი?—შეეკითხა მამაჩემი.—დაგეხმარებოდენ, ხელს მოგიმართავდენ და შენც სხვა კოლმეურნეებსავით დღეს შეძლებული, წელგამართული იქნებოდი.

— არ მეგონა, თუ ასეთი კარგი იქნებოდა კოლმეურნეობაში ყოფნა,— უპასუხა ფადიმემ.—უფრო უარესი მოგივა; რაც რამე გაბადია, იმასაც წაგართმევენო!

— მაშ შენ კულაკებსა და ხალხის მტრებს გაუბრიყვებიხართ, ჩემო ფადიმე,—უთხრა მას მამამ,—ვიდრე ჯერ კიდევ გვიანი არ არის, ჩაეწერე კოლმეურნეობაში, შვილებს სკოლებში გამოგაზრდევინებენ, უმაღლესში ასწავლიან.

ფადიმე დღესაც ზოგჯერ ძველ, დრომოჭმულ ადათს მისდევს. ის ხშირად ჩადრით დადის, მაგრამ მასზე გავლენას ახდენს მისი უფროსი ვაჟი, მეოთხე ჯგუფის მოწაფე, ოქტომბრელი მევლუდი. მას სკოლიდან მოაქვს სხვადასხვა წიგნები და თავისუფალ დროს უკითხავს თავის დედას.

მევლუდ ცინარიძე თავის ჯგუფში დამკვრელ მოწაფედ ითვლება, კარგად სწავლობს, მშვენიერი ცურვა იცის; ის კარგი მოთევზავეა. ერთხელ მან წამიყვანა პატარა ნავით და თევზაობა მაჩვენა.

— ერთი ამას უყურე და... ჩვენსავით პატარა და მოთევზავეა? რაღაც არა გვჯერა,— წარმოთქვეს პატარებმა.

— მეც ასე მეგონა,— განაგრძო თედომ,—მაგრამ როდესაც ვნახე, თუ რა მარჯვედ და ყოჩაღად ამოყავდა მევლუდის თევზები, მაშინ მეც დავრწმუნდი, რომ ის მართლა მოთევზავე იყო. მან აუარებელი ნემსა თევზი დაიჭირა; ნემსა თევზი შემწვარი ძალიან გემრიელი საჭმელია.

წინათ, თურმე, ქობულეთში ერთი სასწავლებელი იყო, დღეს რამდენიმე სკოლაა; სასკოლო ასაკის ყოველი ბავშვი სკოლაში დადის, თავისუფალ დროს კი ბავშვებიც ჰშველიან კოლმეურნეებს ბრინჯის თესვა-მოყვანაში. აქ კარგი ხარისხის ბრინჯი იცის, თეთრი, ფაფუკი. გარდა ამისა, ქობულეთი აჭარისტანის ერთი მდიდარი რაიონთაგანია, აქ უხვად ხარობს ჩაი, ლიმონი, მანდარინი, ფორთოხალი, ამ რაიონშია საქართველოში ყველაზე მოსავლიანი და მდიდარი ჩაქვის ჩაი, საბჭოთა მეურნეობა.

იმდენი ვეცადე, რომ აჭარელ ბავშვებთან ერთად მოვაწყვე ორი ექსკურსია: ერთი ბათომში და მეორე ჩაქვის ჩაის მეურნეობაში.

— წკრრრ! - გაისმა ამ დროს ზარის ხმა.

— ამ ექსკურსიების შესახებ შემდეგ დიდ დასვენებაზე გიამბობთ, ახლა კი გაკვეთილზე წავიდეთ, უკვე ზარი დაირეკა, — თქვა თედომ, და ჩვენმა პატარებმა საკლასო ოთახს მიაშურეს...

ლ. გეგეჭკორი.

ოქტომბრელები კოლექტიურად კითხულობენ ჟურ. „ოქტომბრელს“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გველის დღე

ერთი ტყის პირას გველი ცხოვრობდა. ერთ დღეს მან ცხრა მოყვითლო-მონაცრისფრო კვერცხი დადვა. როდესაც კვერცხებს დებდა, იკლაკნებოდა, მაგრამ როდი ბრაზობდა. ეს კვერცხები გრძელი იყო და ზოგიერთი მათგანიდან უკვე თავი გამოეყოთ გველის წიწილებს.

გველი ყურადღებას არ აქცევდა თავის კვერცხებს. გამოიჩეკებიან გველის წიწილები — გრძელები, წვრილები, წავლენ წამოვლენ აქეთ-იქეთ და არასოდეს აღარ შეჰხვდებიან დედას.

გველი წყნარად იწვა რგოლივით დახვეული. ცოტა ხნის შემდეგ მან თავი მაღლა ასწია და ხვლიკი დაინახა, რომელიც მუცლით გაწოლილიყო ერთ ბელტზე და რაღაც ჭიის მურებს სანსლავდა. თბილი დღე იყო, მზის სხივები ეალერსებოდა ხვლიკის ტანს, და ხვლიკი მეტად კმაყოფილი იყო.

დაინახა გველმა ხვლიკი და ასისინდა, შემდეგ წყნარად გასრიალდა და ნელნელა ეპარებოდა თავის საკბილოს. აი, მიუახლოვდა. პირი დაღებული აქვს, ორ დიდ კბილს შორის კანკალობს წვრილი ენა — ნესტარი.

ხვლიკმა კუდი შეათამაშა, თითქოს გველს აღიზიანებსო.

გველი სისინობდა, მზად იყო სცემოდა ხვლიკს და თვალს არ აშორებდ მას. აი, ხვლიკი კიდევ შეინძრა, და გველიც ეცა მას, მაგრამ მისმა პირმა სიცალიერე დაიჭირა: ხვლიკმა თავს უშველა.

გველი იშვიათად ერჩის ხვლიკს, ახლა კი ჰშიოდა და ამიტომ დაესხა თავს...

ჰშია გველს, საშინლად ჰშია, საჭმელი კი არსად არის.

მაგრამ ეს რა არის? სულ ახლოს, გველის ახლოს უკანა თათებზე შემდგარა პატარა, ნაცრისფერი ცხოველი. ის მიწას თხრის, საკვებს ეძებს, ახლა კი შეშინებული მისჩერებია გაბრაზებულ შავ და გრძელ გველს. თავი ბეჭებში ჩამძვრალა, ბეწვი აჰშლია, ულვაშებს ძლივს ამოძრავებს. ის ცოცხალია, ცქვიტი, ახლა კი გაშეშებულა, ბეწვიან ბურთს დამსგავსებია.

ჰშია გველს, საშინლად ჰშია. არ იყო საჭმელი, მაგრამ გაჩნდა. გველი არც ამას დაიწუნებს.

გაშეშდა გველი. გაშეშდა მისი მსხვერპლიც. გველმა საშინლად მიაშტერა ცას თვალები, თვისი უძრავი, თითქოს ხის თვალები.

ნიავი ქროდა და ეთამაშებოდა მიწის მთხრელი პატარა ცხოველის ბეწვს. ბეწვი ლივლივებდა. მზის სხივები ათბობდა დედამიწას.

მისჩერებოდა გველი უძრავად.

მაგრამ ეს რა არის? ეს რა ხმებმა შეარყია არემარე?

აჰა, ეს შოშიებია, მუდამ მოუსვენარი შოშიები. ჩხუბობენ, კინკლაობენ, ჭყლაპინობენ. აი, აფათქუნდა მათი ფრთები, გაისმა ტოტების ხმაური. შოშიები იქვე ახლოს ჩხუბობდენ, ერთ პატარა ბუჩქზე შესკუპულიყვნენ და ერთი ალიაქოთი აეტეხათ...

კმარა ამდენი ლოდინი! პირი უნდა ჩაიგემრიელოს, კუჭი უნდა ამოევსოს!

ეძგერა გველი, მაგრამ... შეშინებული ცხოველი ბალახებში გადახტა და მიიმალა.

გაბრაზდა, საშინლად გაბრაზდა გველი, ასისინდა და კლაკვნით გასრიალდა ბალახებში. მას ბალახიც აბრაზებდა, რამდენჯერმე წაავლო კიდეც პირი მას, მაგრამ მის კუჭს ხომ ბალახი ვერ გააძღებდა.

შოშიები ისევ ერთ ალიაქოთში იყვნენ.

სრიალით გაიარა ტყე და ველზე გავიდა. აქ ის არასოდეს არ ნადირობდა, მერე ისიც დღისით. გველები ღამით ცხოვრობენ, ღამე უფრო ადვილია მათთვის საკვების შოვნა. ველის იქით ხრამია, ხრამის ძირას კი მდინარე. ღამით აქაურობა სულ სხვანაირია.

ოჰ, რა კარგია აქაურობა გაზაფხულზე! მდინარე ადიდდება, ნაპირებიდან გადმოვა, აქა-იქ გუბეებს გააკეთებს, და ბაყაყები დიდი ხალისით ყრიან ამ დაჭაობებულ ადგილებში თავის მსხვილ კვერცხებს, თან ყიყინით იკლებენ იქაურობას. აქ წყლის ვირთაგვებიც ბლომად არიან, ღრღნიან მცენარეების ღეროებს, აცმაცუნებენ ტუჩებს.

გველმა ჭაობს მიაშურა.

უცბათ მონაცრისფრო ბაყაყი გამოხტა ბალახებიდან და გველის მახლობლად დასკუპდა. მისი კანი ისე ბზინავდა, როგორც ნამიანი ბალახი. ბაყაყი მძიმედ სუნთქავდა.

გველმა თავი ასწია.

ხანდახან ბაყაყი პირს გააღებდა და გადმოისროდა ენას. ასე იქცეოდა ის, როდესაც ბუზი ან კოღო ჩაიფრენდა მის მახლობლად. მისი წებოვანი ენა მათრახივით შემოეხვეოდა მსხვერპლს და პირისკენ მიაქანებდა. ამის შემდეგ ბაყაყი თვალებს გადაიტანდა და გადასანსლავდა დაჭერილ მწერს. ხანდახან მის ენას გაუსხლტებოდა მსხვერპლი, და ბაყაყი მხოლოდ ნერწყვს ყლაპავდა.

შეინძრა გველი, რგოლივით დაიხვა.

ბაყაყი მძიმედ სუნთქავდა.

დახვეული რგოლი ერთბაშად გაიშალა: გველი ეცა ბაყაყს. მისი ორი მოდუნული კბილი ჩაესო ბაყაყს, რომელმაც სცადა გაქცევა, მაგრამ ფეხები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუდუნდა, სუნთქვა გაუძნელდა, თავბრუ დაესხა... ცოტა ხნის შემდეგ სულ ერთიან დასუსტდა.

გველმა ნელა გააღო პირი, და ბაყაყი ბალახზე დაეცა. ის გვერდზე ეგდო, ფეხები გაეშიმშილა. ცოცხალი ბაყაყები ასე როდი წვებიან.

დიდი პირი აქვს გველს.

გველი შეინძოა, ნესტარით შეეხო მსხვერპლის კანს, შემდეგ საშინლად გააღო პირი და ბაყაყი ნელ-ნელა გადასანსლა, მაგრამ გაუჭირდა: მსხვილია ბაყაყი, მსუქანია, თაგვების გადაყლაპვა უფრო ეადვილება.

დიდი პირი აქვს გველს.

აი, ბაყაყის ფეხებიც მიიმალა მის პირში. შემდეგ გველი გაწვა და მიწყნარდა.

დიდხანს იწვა ის წყნარად, საჭმელს ინელებდა.

მზე ჩადიოდა. უცბათ მოისმა ბუჩქების შრიალი, და ხმამაღლა ყვირილმა შეარხია ჰაერი. გაბრაზდა გველი. ვერც გაეგო, საიდან ისმოდა ეს ხმა.

კიდევ ყვირილი:

— ვაი!

და ძას ქვები დაუშინეს.

ის უცბათ შესრიალდა წყალში. ტანი დაუმძიმდა, ტანს, მოსვენება სჭირდებოდა.

გველი მდორულად, წყნარად მიცურავდა.

დიდი ძალ-ღონე იყო საჭირო, რომ ასე გაეცურა, როდესაც მუცელში მსუქანი ბაყაყი ჰქონდა.

მხოლოდ შავი თავი მოჩანდა წყალში. მის მახლობლად ეცემოდა ქვები, ისმოდა ყვირილი:



— გველი, გველი!

გაცურა და მეორე ნაპირას გავიდა, გასრიალდა ბალახებში და ტყეში აშურა.

ჩამავალი მზის სხივები ნაირი ფერებით ათამაშდა.

ფიჩხის მტვრევის ხმა მოესმა. გაიხედა და ხედავს: მისკენ მოდის ზღარბი. ტანი აჰბუძგვია, წყნარად მობაჯბაჯებს.

ზღარბს არ ეშინია გველის სისინის, გველის შხამის. მას მჭრელი კბილები აქვს, ტანი კი ეკლიანია, გველი ვერ უკბენს.

ასისინდა გველი. ზღარბი მას თავს დასდგომოდა. გაბრაზებულ-შეშინებული გველი ეძგერა ზღარბს და თვალი გაიფუჭა მის ეკლებზე. ზღარბმა თათი დაადვა და ტყავი გადააძრო.

დაიკლაკნა გველი, უნდოდა გასხლტომოდა მტერს, მაგრამ ეკლებზე ესობოდა, მჭრელი კბილები კი უკვე ჩაესო მის ტანს.

შუაზე გაგლიჯა ზღარბმა გველი, და ორივე ნაწილი ხტოდა, იკლაკნებოდა.

სისხლი წვეთდა.

ზღარბი ახრამუნებდა გველის ტანს.

ასე გათავდა გველის დღე.

გადმოკ. **შ. თ—ლის** მიერ.

გასართობი

გამოცანები

1.

რომელი ორი მთელი რიცხვის შეკრება მოგვცემს მეტ რიცხვს, ვიდრე მათი გამრავლება?

2.

რომელი ორი მთელი რიცხვის გამრავლება მოგვცემს იმდენს, რამდენსაც მათივე შეკრება?

3.

ხუთ ჰექტარ მიწას ხუთი ტრაქტორი თესავს ხუთ საათში. რამდენი ტრაქტორი დათესს ას ჰექტარ მიწას ას საათში?

4.

მაღლა ბატები მიფრინავდენ. დაინახა ქვევიდან ერთმა ბატმა და მიაძახა: —გამარჯობა თქვენი, ასო ბატო! მაღლიდან ჩამოსძახეს: —ჩვენ ასი მაშინ გავხდებით, როდესაც მოგვემატება იმდენი, რამდენიც ახლა ვართ, ახლანდელის ნახევარი, მეოთხედი და კიდევ შენცაო.

რამდენი ყოფილან ბატები?

5.

ერთ ბიჭს დაესიზმრა: წევს ზღვაში პატარა კუნძულზე. კუნძულს ირგვლივ წყალი აკრავს, წყალს ირგვლივ—ტყე. ტყეს ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლის სიმხურვალემ წყალი აადუღა. ბიჭს ახრჩობს წყლის ოშხივარი. ცეცხლი ყოველი მხრიდან მძლავრობს: გამოსავალი არსად არის.

რა უშველის ბიჭს?

გემი



აიღეთ კაკალი, გაჭერით შუაზე დანით ისე, რომ ნაჭუჭი არ გატეხოთ, ლებნები ამოიღეთ ღა მიირთვით. ნაჭუჭის ქვედა ნახევარს გაუკეთეთ პატარა ნახვრეტი, ისეთი, რომ შიგ პურის ღერო შევიდეს. გამოჭერით პურის ღერო, სიგრძით ორ-სამი სანტიმეტრი, და შეურჭეთ ნახვრეტში.

ნაჭუჭის მეორე ნახევარზე მავთულითა და ქინძისთავით დაამაგრეთ ქაღალდისაგან გამოჭრილი იალქანი, როგორც ნახატზეა ნაჩვენები. შემდეგ გამოჭერით რგვალი საცობი, შუაში ცოტა ამოჭერით, რომ ზედ კაკლის ნაჭუჭი გაჩერდეს: ნაჭუჭის ქვედა ნაწილში ჩაასხით წყალი და დაახურეთ თავზე ზედა ნაწილი, დადევით საცობზე და გაუშვით წყლიან ტაშტში. პურის ღეროდან, როგორც მალიდან, წყალი წვეთ-წვეთად გამოვა, გემი კი დაიძვრის და წინ წავა.

შედგენილი ნ. ნაშაკიძის მიერ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კურდღელი და გომფეშო

მონადირემ მწევრები
კურდღელს გამოუყენა.
გაქცეულმა კურდღელმა
მწევრებს გზაში უყელა:
სერს გადაღმით ბუჩქნარში
სოროს მოჰკრა მან თვალი,
შიგ შევარდა ცახცახით,
აუვარდა კანკალი.
შიგ დაუხვდა გომფეშო —
იმ დარბაზის მფლობელი.
შეეკოდა ბატონსა
მგზავრი საწყალობელი.
შეეკითხა: „კურდღელო,
რამ გაგიხეთქა გული, —
ბოდიშის მოუხდელად
მოხველ დაფეთებული!

— მწევარ-მეძებრებითა
მომდევს მონადირეო,
თავის გადასარჩენად
აქ შემოვირბინეო.
ვაიბღინძა გომფეშო,
გადმოკარკლა თვალები
და წარმოთქვა სიტყვები
ქვეყნის შესაბრალები:
— რა არის, რომ დაგვდევენ
მე და შენ ეგ მწევრები
და მონადირეები —
ეგ ამოსაწყვეტები!
კურდღელმა თქვა: — ნეტავი
შენ არ დამტოლებოდი
და ძალლებს დავეგლიჯე,
ბუჩქნარში რომ ვხტებოდი!

გ. ლომთათიძე.

რებუსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რებუსი შედგენილია და დახატულია
მე-12 შრ. სკოლის მე-4 ჯგუფის მოწაფის
სოსო ლომთათიძის მიერ.

სარედაქციო კოლეგია: **აბაშიძე ირაკლი** (პ/მგ. რედაქტორი), **ალლაძე ელენე** (პ/მგ. მდივანი), **ღვინიაშვილი ან, მარიჯანი, საბახტარაშვილი ნადია, ანდრიაძე.**

რედაქციის მისამართი: ტფილისი, ალმასკომის ქ., № 7. სახელგამი.

მ. მ. ს. კ. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა

შეკ. № 2157. მთავლ. № 1283-ა. ტირ. 25000

100р.

ეროვნული
ბიბლიოთეკა